სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი 11 ივნისი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 119 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 119

თავზარდაცემულნი: მეუღლე ოლღა, შვილები: მიხეილი და სონია, და-ძმანი: ლიზა და ვასილი, რძლები: დარიკო და ანნა ხერხეულიძენი, სიძე ილ. დავითაშვილი, სიდედრი მარიამი, ცოლის და-ძმა ანნა და კოტე კველიშვილი, მეუღლე ტასოთი, ქვისლები კ. ელიოზიშვილი და კ. მგალობლიშვილი მეუღლე ანეტათი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ საყვარელის

**საშა (ზურაბ) დიმიტრის ძის ხერხეულიძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ საღამოს 7 ს. (ნაძალადევი, პარაგვსკი ქ. 27), გამოსვენება ხუთშაბათს, დილის 10 საათზე, წმ. ნინოს სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ივანე როსტომის ძე შვილები: ნინა, მარიამ, ქსენია, ალექსანდრა, ლოლა, ელენა, რადიშა და გაბრიელ თალაკვაძენი. სიძე პარმენ ლომთათიძე. მშობლები: ბესო და ესმა, ძმა ლავრენტი და რძალი სარრა, დები: პასიკო, ფუფუა, ნანია და კატუშა კალანდაძენი. სიძეები: ლევანტი კვაჩანტირაძე და ლადიკო გოგიბერიძე შვილებითურთ. მაზლები იაგორ და ელიკო თალაკვაძენი, რძლები ლიზა და ეკა შვილებითურთ; ნათლიები: ფილიპე და სოფიო ნინიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობართ გარდაცვალებას ძვირფას და დაუვიწყარ

**ლიზიკო ბესოს ასულის თალაკვაძისა,**

რომლის დასაფლავება მოხდა 4 ივნისს ს. ასკანის წმ. მაცხოვრის ეკლესიაზე.

## სოციალ-დემოკრატია მთავრობაში

ენგელსმა ერთ თავის წერილში ის აზრი გამოსთქვა, რომ მუშათა კლასისათვის უდიდესი უბედურება იქნება, თუ ის სახელმწიფოს სათავეში მოექცა იმ დროს, როცა არ მომწიფებულა ეკონომიური და პოლიტიკური პირობები ამ კლასის ბატონობისათვის ე. ი. არ დამდგარა დრო სოციალისტური რევოლიუციის მოსახდენათ.

ეს უტყუარი ჭეშმარიტებაა. და ბევრ ამხანაგს ამიტომ დიდ შეცდომათ მიაჩნია ს.-დების შესვლა საქართველოს მართველობაში და მით უმეტეს მისი ბატონობა მთავრობაში.

რამ გამოიწვია ასეთი მდგომარეობა? რამდენათ სწორია ასეთი ნაბიჯები?

საქართველოში ხალხი თითქმის ცხრა მეათედი სოციალ-დემოკრატიას უჭერს მხარს, მის პოლიტიკას მისდევს და ამით ყველა არჩეულ დაწესებულებებში ბატონებს.

ამნაირათ ძალაუნებურათ მიუხედავათ ყოველგვარ ტაქტიკურ მოსაზრებებისა იქმნება ისეთი მდგომარეობა, როცა სოციალ-დემოკრატია იძულებულია სახელმწიფოს სათავეში მოექცეს და მისი მართვა-გამგებლობა იკისროს.

აქ იბადება კითხვა: მოასწავებს ეს მუშათა კლასისთვის ისეთ უბედურებას, რომელსაც ენგელსი ითვალისწინებდა?

ჩვენ გვგონია, რომ არა. და აი რატომ. პირველად ყოვლისა ენგელსი თავის წერილში გულისხმობს არა არჩევნების საშვალებით გამარჯვებას, არამედ გამარჯვებას რევოლიუციურ ბრძოლის წყალობით. რევოლიუციურ ბრძოლის დროს კი შესაძლებელია უმცირესობამ ჩაიგდოს ხელში ძალა უფლება და ამ რიგათ უმრავლესობაზე ბატონობა დაიწყოს. ასეთი ბატონობა ადვილათ ეხერხება ბურჟუაზიას, რადგან მისთვის მზათაა ეკონომიური საფუძველი ბატონობისა. მაგრამ ეს მხოლოდ ვნებს მუშათა კლასს, რადგან თვით ცხოვრება მის წინააღმდეგ იქნება, და ამიტომ დამარცხება და უსასტიკესი დამარცხება და მაშასადამე გულის გატეხაც მისი აუცილებელი ხვედრი იქნება. სოციალდემოკრატიას ჩვენში ბატონობა ერთი დაკვრით არ ჩაუგდია ხელში, არც შეთქმულობით მოუპოვებია. მართალია მუშათა კლასი დღეს ჩვენში დიდ უმცირესობას წარმოადგენს, მაგრამ იგი განმარტოებული არ სდგას ბრძოლის ველზე. იგი გლეხობისა და საერთოთ დემოკრატიასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული მიდის. იმ ისტორიულ და სოციალ-ეკონომიური პირობების წყალობით, რომელშიაც საქართველოს ხალხს უხდება ცხოვრება, დემოკრატია თავის საკუთარ კლასობრივ პარტიას კი არ ქმნის, არამედ უკიდურეს დემოკრატიას—მუშათა კლასის პარტიას, სოციალდემოკრატიას მისდევს.

აქედან იბადება მეორე განსხვავება ჩვენს დღევანდელ მდგომარეობასა და იმ მდგომარეობის შორის, რომელიც ენგელსს ქონდა წარმოდგენილი როცა მუშათა კლასს ურჩევდა უდროო დროს მართველობისთვის ხელის წაპოტინება არ დაეწყო და იგი გულისხმობდა ძალა-უფლების მხოლოდ მუშათა კლასის ხელში გადასვლას. ჩვენში კი სოციალ-დემოკრატიის სახით ძალა-უფლება გადასულია სოციალ-დემოკრატიის, მთელი ხალხის ხელში. დემოკრატიის ბატონობისათვის კი სოციალისტური გადატრიალების პირობები სრულიადაც არ არის საჭირო.

ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ სოციალ-დემოკრატიის მდგომარეობა ჩვენში სრულიად განსაკუთრებულია და ამიტომ განსაკუთრებულ ტაქტიკურ ნაბიჯებსაც თხოულობს.

რასაკვირველია, დიდი შეცდომა იქნებოდა სოციალ-დემოკრატიისთვის **მარტოთ-მარტო** ჩაეგდო ხელში მთელი მართველობა და სოციალისტური ექსპერიმენტები ეწარმოებინა. ეს იქნებოდა ანგარიშის გაუწევლობა იმ საფუძვლისთვის, რომელზედაც აღმოცენდა მისი გაბატონებული მდგომარეობა. მაგრამ საქმე სწორედ იმაშია, რომ **სოციალდემოკრატია ბატონობს, როგორც დემოკრატია** და მისი სამოქმედო პროგრამაც შეიძლება იყოს მხოლოდ დემოკრატიული. ამ შემთხვევაში კი მას აქვს საკმაო მომზადებული ობიექტიური და სუბიექტიური პირობები დემოკრატიის შეგნებასა და ძლიერებაში.

ამიტომ სოციალდემოკრატიის მიერ დღეს მთავრობაში ჩადგომა ტაქტიკურათ აუცილებელია და გვერდ-შეუვალელი.

ხოლო პრინციპიალურად უარყოფა ამ უფლებისა შეუძლებელია. ევროპის სოც.-დემ. არ შედის მთავრობაში სწორეთ ტაქტიკურის მოსაზრებით და არა პრინციპიალურის. განსაკუთრებულ მდგომარეობაში კი, როცა ამას მოითხოვს ინტერესი დემოკრატიის, როცა ეს საჭირო და აუცილებელია დემოკრატიულ წყობილების განსამტკიცებლათ, სოც.-დემ. არსად არ ამბობს უარს მთავრობაში შესვლაზე.

მართალია ევროპის მუშათა ცხოვრებამ არ იცის მკაფიო მაგალითები სოც.-დემ. მთავრობაში მოღვაწეობის, მარა არც იმის მაგალითები იცის, რომ სოციალდემოკრატიას, როგორც განვითარებული და მძლავრი პარტია ბურჟუაზიული რევოლიუცია ეწარმოებიოს და მისი მთავარი მამოძრავებელი ძალა ყოფილიყოს. ევროპის სოც.-დემოკრატია ბურჟუაზიულ რევოლიუციის შემდეგ წარმოიშვა ევროპაში. ჩვენში კი იგი მას წინ უსწრებს და მის მოხდენაში მონაწილეობს. და ეს განსაკუთრებული ისტორიული ხვედრი ქმნის განსაკუთრებულ პირობებს, რომლის ბადალი ევროპამ არ იცის. ამიტომ ევროპის მაგალითები ამ შემთხვევაში არც შეიძლება გვქონდეს. ჩვენ გვაქვს მხოლოდ პრინციპი შემუშავებული ევროპის სოციალდემოკრატების მიერ, გვაქვს დიალექტიკური მეთოდი, რომლის წყალობით ეს პრინციპი უნდა ჩვენი ცხოვრების კონკრეტიულ პირობებს მივუყენოთ. ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენი ცხოვრების პირობები დღევანდელ დღეს იმდენათ განსაკუთრებულია, რომ განსაკუთრებულ გმირულ ზომებს და ღონისძიებებს თხოულობს რევოლიუციის მონაპოვართა შესარჩენათ და დემოკრატიულ წყობილების გასამტკიცებლათ. და განა ასეთ პირობებში თუ დემოკრატიამ წინა რიგში სოც.-დემოკრატია წამოაყენა, ამ უკანასკნელს შეუძლია რაიმე მოსაზრებით ამ დიად მოვალეობაზე ხელის აღება და ამ საბედისწერო საქმის იმათთვის მინდობა, ვისაც მხოლოდ მისი დამხობა აქვს მიზნათ დასახული?

ცხადია არა. და სოციალდემოკრატია, რომელიც ხალხმა—მუშამ და გლეხობამ თავისი ნდობით აღჭურვა, უკანასკნელ შესაძლებლობამდე იდგება თავის პოსტზე მთელი თავისი ძალით, ენერგიით, ცოდნით და გამოცდილებით; იზრუნებს იმის განსახორციელებლათ, რაც ხალხისა და დემოკრატიისათვის ისე საჭიროა, როგორც ჰაერი; იგი იზრუნებს დემოკრატიულ წყობილების განსამტკიცებლათ და ამით არა თუ არ უღალატებს მარქსიზმს და მუშათა კლასს, არამედ პირნათლათ შეასრულებს თავის ვალს და საუკეთესოთ დაიცავს მუშათა კლასის სასიცოცხლო ინტერესებს.

## „სოციალდემოკრატი"

გუშინ გამოვიდა თფილისში რუსულ ენაზე პირველი ნომერი ახალი საორშაბათო გაზეთის „სოციალდემოკრატი"-სა. სარედაქციო წერილიდან ვტყობილობთ, რომ გაზეთი ეკუთვნის სოციალდემოკრატთა ჯგუფს, რომელიც უკმაყოფილოა ჩვენი პარტიის პოლიტიკით. „ჩვენი პარტია მთავრობის პარტიაა. ეს გარემოება მას ბევრს მოვალეობას აკისრებს. სხვათა შორის პარტიული ორგანო იძულებულია ქებათა-ქება შეასხას მთავრობის მოქმედებას იმ დროს, როცა ის თავისუფლათ უნდა აფასებდეს ამ მოქმედებასო". ასეთია ახალი გაზეთის მხრით ჩვენი პარტიული ორგანოს დაფასება. აქედან, ცხადია, დასკვნაც შესაფერი უნდა გამოეყვანა „სოციალდემოკრატს". ისიც გვიხატავს მოკლეთ თავის სამოქმედო პროგრამას: კრიტიკა და ბრძოლა, ან, როგორც თითონ ამბობს, მთავრობის მოღვაწეობის თავისუფალი დაფასება სოციალიზმის სამარადისო დებულებების მიხედვით—აი რას უნდა ემსახუროს „სოციალდემოკრატი".

კრიტიკა და ბრძოლა—ქვაკუთხედია ჩვენი მოქმედების და დიდი გულუბრყვილება იქნებოდა გვეფიქრა, ვითომც „სოციალდემოკრატი"-ს, გაჩენის მიზეზი ეს იყოს. განა იმ ჯგუფს, რომელიც ახლა „სოც.-დემ."-ს გარშემო იყრის თავს, თავისუფალ კრიტიკის და მოქმედების საშუალება არ აქვს? განა ყოველ პარტიულ ორგანიზაციას არ შეუძლია დაიწუნოს მთავრობის ესა თუ ის მოქმედება? ან იქნებ აღნიშნული ჯგუფი ფიქრობს, რომ პარტიის დადგენილება და მუშაობა ერთი უნდა იყოს და პარტიულ ორგანოსი კიდევ სხვა? რა შუაშია აქ სიტყვის თავისუფლება?

პარტიული ორგანო იცავს იმას, რასაც პარტია ადგენს, პარტიულ ორგანოს მოვალეობაა განუმარტოს პარტიის წევრებს და ხალხს ის, რასაც პარტია აკეთებს. ეს ანბანური ჭეშმარიტება ყოველთვის ასე ესმოდათ ჩვენს პარტიულ გაზეთებს და არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე პარტიულ ორგანოს დისციპლინა დაერღვიოს და პარტიის დადგენილების წინააღმდეგ წასულიყოს. ეს ერთნაირი მოვალეობათ იყო ცნობილი. დღეს კი ამ უბრალო და უცილობელ მოვალეობას ჩვენი ამხანაგების ჯგუფი „სოციალდემოკრატში" ზოროტათ დასცინის და მკითხველ საზოგადოებას ისე აცნობს, თითქოს ჩვენ სინიდისის წინააღმდეგ მივდიოდეთ და მთავრობას ვაქებდეთ მაშინაც კი, როცა ის ამის ღირსი არ არის. ასეთი გამოლაშქრება ჩვენ დიდ მარცხათ მიგვაჩნია „სოციალდემოკრატი"-ს მხრივ და საკითხი რომ პირდაპირ დასმულიყო, ამ მარცხს ადვილად აიცდენდენ ჩვენი ამხანაგები. ამიტომ ჩვენ თითონ უნდა დავსვათ ის კითხვა, რომელსაც „სოციალდემოკრატი" პირველ სარედაციო წერილში გვერდს უხვევს.

რა განსხვავებაა ჩვენსა და აღნიშნულ ჯგუფს შორის? ჩვენ ვიკისრეთ მთავრობის შედგენა. ეს არის, თუ გნებავთ, ჩვენი პირველი მომაკვდინებელი ცოდვა. მაგრამ რაკი მთავრობა ჩვენ შევადგინეთ, კიდევაც უნდა ვეცადნეთ ამ მთავრობას მხარი დავუჭიროთ და მისი ავტორიტეტი გავამაგროთ. ეს ლოღიკური დასკვნაა ჩვენი პირველი ნაბიჯის და ერთობ ახირებული და გაუგებარი იქნებოდა, რომ პარტიას შეედგინა მთავრობა, ხოლო პარტიულ ორგანოს თავს ედვა ამ მთავრობისთვის, ესე იგი პარტიულ საქმისათვის სახელის გატეხა. და არა გვგონია თვით „სოციალდემოკრატი" მოქცეულიყო სხვანაირათ, მას რომ თავის იდეალი განეხორციელებია და ცხოვრება ისე მოეწყო, როგორც ეს მას საუმჯობესოთ მიაჩნია. ყოველ შემთხვევაში ეს საკითხი თავისთავადაც საინტერესოა, რადგანაც ბევრს უკვირს,—როგორ მოხდა, რომ ევროპის სოციალდემოკრატია მთავრობას გაურბის, ჩვენი სოციალდემოკრატია კი თითონ აწყობს ამ მთავრობას.

ამ საკითხს ჩვენ ცალკე განვიხილავთ, ახლა კი შევეხებით ჩვენი უთანხმოების მეორე მხარეს, რომელსაც „სოციალდემოკრატის" სარედაქციო წერილი გვერდს უვლის, მაგრამ თითქმის მთელი ნომერი კი ამ უთანხმოების აქვს დათმობილი. ეს უთანხმოება აღმოცენებულია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ნიადაგზე. და სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ გაზეთი პირნითლად შესდგომია თავის დანიშნულების ასრულებას: საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს რედაქცია ყოველ მხრივ ეხება და ყველა წერილის დასკვნა სულთათანას გალობას წარმოადგენს.

ამხ. სმირნოვი ვრცელ წერილში ასაბუთებს საქართველოს ფინანსიურ უძლურებას და ისტორიის მკაცრ განაჩენით ემუქრება საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკოსებს, ესე იგი ჩვენს პარტიას. ამხ. აზატიანი ეხება საერთაშორისო მდგომარეობას და მოითხოვს, რომ „სოციალდემოკრატიამ გმირულათ და პატიოსნურათ დაგმოს დაშვებული შეცდომები და ახალ ენერგიით გამოვიდეს პოლიტიკურ ცხოვრების სარბიელზე ახალ სახელმწიფოებრივობის მოსაწყობათ", რათა შექმნას ერთი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა. და ამხ. აზატიანი მოითხოვს, რომ ამიერ-კავკასიის გაერთიანებისათვის ბრძოლა დაუყოვნებლივ დაისვას დღიურ წეს-რიგში.

ამნაირათ ახალი გაზეთი მიმართულია საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის წინააღმდეგ. ჯერ-ჯერობით მისი კილო დარბაისლური და წმინდა აკადემიურია, მაგრამ თავისთავათ ეს ვერ სცვლის საქმის ვითარებას. რამდენათაც გაზეთი ეცდება გაავრცელოს ხალხში იდეია—ვითომ **დღეს დღეობით შესაძლებელი იყვეს** ამიერ-კავკასიის გაერთიანება და შემდეგ ამ გაერთიანებულ რესპუბლიკის რუსეთთან დაკავშირება—იმდენათ ხელს შეუწყობს ის მავნე ილუზიების გავრცელებას. სამერმისოთ ჩვენც აქეთკენ გვიჭირავს გეზი. ხოლო უკეთუ ახალი გაზეთი საკითხს პრაქტიკულათ დასვამს და ასეთის გაერთიანებისათვის იბრძოლებს, ის იძულებული გახდება შეძლებისდაგვარათ ძირი გამოუთხაროს არა მარტო პარტიულ პოლიტიკას, არამედ თვით საქართველოს რესპუბლიკის არსებობასაც, ესე იგი ითამაშონ როლი დამგრეველის და არა ამშენებლის.

არა გვგონია ასეთი უმადური როლის თამაში სასიამოვნო იყოს სოციალდემოკრატიულ მოღვაწისათვის.

## პრესა

„ყოველკვირეული პოლონური" ჟურნალი, რომელიც თფილისში გამოდის, საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ შემდეგს სწერს:

„ახალი რესპუბლიკა, დამოუკიდებელი მრავალ საუკუნოების განმავლობაში საქართველომ მე-18 საუკ. დამლევს, ვერ შესძლო რა თავისათ დაცვა თავის დამოუკიდებლობისა ძლიერი მეზობლების: სპარსეთი, ოსმალეთი, რუსეთის თავდასხმისაგან, ხელშეკრულება დასდვა რუსეთთან, რომლითაც შეზღუდულ იქნა მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, მაგრამ რუსის მეფეებს არასოდეს არ უყვარდათ თავის ხელმოწერილ პირობების ასრულება, და უკვე 1801 წელს გამოიცა მანიფესტი საქართველოს რუსეთთან სრულიად შეერთების შესახებ, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ, უკანასკნელ ქართველ მეფის გიორგი მე XII შთამომავლობა გადაასახლეს რუსეთის შიდა გუბერნიებში.

მაშინ საქართველომ დაკარგა თავის არსებობა, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ. მთელი რიგი აჯანყებების ჩაქრობა, სკოლების დახურვა, და რუსიფიკაცია ხალხისა, აი რა ნაყოფი მოუტანა მას რუსეთთან კავშირმა. ასი წლის ტყვეობის შემდეგ მხოლოდ დღეს დადგა დრო განთავისუფლების და 26 მაისს მიმდინარე წლისა თამარ მეფის სულმა იხილა ამომავალი განთიადი თავის ერის თავისუფლებისა.

ჩვენ პოლონელებმა ძალიან კარგათ ვიცით, რას ნიშნავს ტყვეობა და ბორკილები, ამიტომ სულით და გულით ვულოცავთ ქართველებს ახალი თავისუფალ ხალხათ აღორძინებას".

## გაერთიანებული კრება მ. და ჯ.-კ. ცენტრის და წითელი გვარდიის შტაბის

(8 ივნისის სხდომა).

თავმჯდომარეობს **ნ. ჟორდანია.**

მოქალაქენო, ჩვენს წინაშე დგას ფრიად სერიოზული საკითხი: უნდა გამოვარკვიოთ ჩვენი მხარის პოლიტიკური მდგომარეობა და შევქმნათ ძლიერი მთავრობა. ჩვენ საფრთხის წინაშე ვდგევართ. ჩვენ ტერიტორიაზე მშვიდობიანი გზით შემოდის ორი ძალა, ოსმალეთის და გერმანიის, საჭიროა ვიმსჯელოთ იმაზე თუ როგორ გამოვიდეთ ამ მდგომარეობიდან, რომ ჩვენი მხარის ოკუპაცია არ მოხდეს. პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ მოხსენებას გააკეთებს ამხ. ი. წერეთელი.

**ი. წერეთელი.** ზავის ჩამოგდების შემდეგ ჩვენს წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით წამოდგა ასეთი საკითხი: შევინარჩუნებთ თუ არა იმ მცირე უფლებებს მაინც, რომელსაც გვაძლევს საზავო ხელშეკრულება, ანუ მოგვიხდება კიდევ უკან დახევა და ახალ პოზიციების ძებნა, ე. ი. იქნება თუ არა ზავი რეალური, თუ ის მარტო ქაღალდის ნაგლეჯათ დარჩება და საქმე ჩვენი ტერიტორიის ოკუპაციით გათავდება. ამ საკითხის გადასაჭრელად საჭიროა განმარტება იმისი, თუ რამ მიგვიყვანა ჩვენ ასეთ დამარცხებამდის.

ჩვენი ასეთი დამარცხების მიზეზი იყო ჩვენი სისუსტე. ჩვენ ვერ შევძელით სუსტი ძალები მაინც მთლად მოგვეხმარა და მტრის წინააღმდეგ დაგვეყენებია. სწორედ იმ დროს, როცა მთელი ცოცხალი ძალების შემოკრება და მტრის წინააღმდეგ დარაზმვა იყო საჭირო, შიგნით ანარქიამ იჩინა თავი და გაიმართა მეორე ფრონტი. მთავარი მიზეზი იმისა, რომ ჩვენ სავსებით ვერ შევძელით ჩვენი სუსტი ძალების მოხმარაც, იყო სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის უქონლობა, ჩვენი დამარცხების მიზეზი, როგორც სჩანს, მარტო რუსის ჯარის აქედან გასვლა არ ყოფილა. ჩვენი უბედურობა სახელმწიფოებრივი აპარატის მოუწყობლობაში მდგომარეობდა. ჩვენ თავიდანვე ვგრძნობდით ამ დიდ დანაკლისს და კიდევაც შევეცადეთ სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნას, მაგრამ მტერი არ იცდიდა. ის შემოტევის გზას დაადგა, და შედეგი ყველა ამისა ეს სამარცხვინო ზავია. ძალთა განწყობილება ყველაზე უფრო საზავო ტრაქტატში გამოიხატა. ჩვენ ამ ზავსაც დავკარგავთ, თუ ვერ შევქმენით მაგარი სახელმწიფოებრივი აპარატი. ეს საკითხი მწვავეთ იდგა რუსეთის წინაშეც, მაგრამ დემოკრატია არ შეხვდა მას მომზადებულათ და სტიქიურ გამოსვლებში სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია ჩაახრჩო. შეიქნა ჩვენშიდაც სტიქიური პროცესი: ერთის მხრით არის სუსტი მთავრობა, რომელიც სრულებით არ სარგებლობს იძულებითი მეთოდით, მეორეს მხრით მუშაობს რევოლიუციონური ორგანიზაციები და ამრიგათ არსებობს ორი მთავრობა. როცა ჩვენ საჩქაროთ შევქმენით მთავრობა, მაშინ, სამწუხაროთ ამ დებულებას, რომელმაც რუსეთის მართვა-გამგეობაში დეზორგანიზაცია შეიტანა, გვერდი ვერ ავუარეთ. აქაც თავი იჩინა ორმა მთავრობამ. ჩვენი სუსტი მთავრობის გვერდით სახელმწიფოებრივ ფუნქციებს ასრულებდა რევოლიუციონური ორგანიზაციები. უნდა ვაღიაროთ, რომ გლეხების და მუშების ნდობა ჰქონდა ამ ორგანიზაციებს. რაც შეეხება მთავრობას, მას მარტო ქვეყნის თავდაცვის მიღება თავის თავზე არ შეეძლო, რადგანაც მთელი დემოკრატია, მასსა ნდობას არ უცხადებდა მას. იყო ნაწილი, რომელიც ოპოზიციაში უდგა. აი ამ ხანებში რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა დიდი სამსახური გაუწიეს დემოკრატიას. მე გადაჭრით შემიძლია თქვენს წინაშე განვაცხადო, რომ არ ყოფილიყვენ რევოლიუციონური ორგანიზაციები, მაშინ ჩვენ ახლა სავსებით დამარცხებულნი ვიქნებოდით და იმ მცირე უფლებებსაც ვერ ვქნებოდით მოკლებულნი, რომელსაც საზავო ხელშეკრულება გვაძლევს. თუ მთავრობას არ შეუძლია ისარგებლოს იძულებითი მეთოდებით, ის ვერ აწარმოებს ქვეყნის თავდაცვის საქმეს და ყოველ მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხის წინაშე უძლური აღმოჩნდება. მისი მთავრობის უძლურობის დროს რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა მიიღეს თავის თავზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესრულება და წითელი გვარდიის საშუალებით გააკეთეს ყველაფერი, რის გაკეთებაც შეიძლებოდა. ისინი მამაცურათ ებრძოდენ ანარქიას, ყველგან ცდილობდენ რევოლიუციონურ წეს-რიგის აღდგენას და კიდევაც მიაღწიეს მიზანს. რევოლიუციონური ორგანიზაციები რომ არ გვქონოდა, ჩვენს კუთხეს ჯერ გაანადგურებდა შინაური ანარქია და შემდეგ კი გარეშე მტერი. ჩვენ უნდა ვსთქვათ აშკარათ, რომ სახელმწიფოს სუროგატებს არ შეუძლია სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის მაგიერობა გასწიოს; ამიტომ არც რევოლიუციონურ ორგანიზაციებს ჰქონდათ შეძლება სავსებით სახელმწიფოებრივი აპარატის მაგიერობა გაეწიათ. როგორც ზემოთ ვსთქვი, მთავარი მიზეზი რუსეთის და კერძოთ ჩვენი დამარცხებისა, ეს სახელმწიფოებრივი აპარატის უქონლობა იყო. არ არსებობდა ერთი მთლიანი დემოკრატიული მთავრობა. მართალია, რევოლიუციის პირველ დღიდანვე იყო ლაპარაკი მტკიცე მთავრობის შექმნის შესახებ, მაგრამ ამის განხორციელებისათვის აუცილებელი საჭირო იყო თვით ობიექტიური პირობების არსებობა. თუ არ არის შეგნება ამ ტკიცე მთავრობის საჭიროების, მაშინ ყოველივე ცდა ამ მიმართულებით უნაყოფოდ ჩაივლის. მე უნდა ვსთქვა, რომ წარსულის მწარე გაკვეთილებმა და უკანასკნელ დღეების მაგალითმა ჩვენს მხარეში დაბადეს სურვილი მაგარი მთავრობის შექმნისა, რომელსაც ექნება საშუალება იძულებითი მეთოდებით ისარგებლოს მართვა-გამგეობის საქმეში. ამის აუცილებელი საჭიროება ჩვენმა ხალხმა უკვე შეიგნო. დღეს დემოკრატია აშკარათ გაიძახის: ჩვენ თქვენ ნდობას გიცხადებთ, მაგრამ კმარა სიტყვები, გვიჩვენეთ საქმეები, გვიჩვენეთ მაგარი ძალა (მთავრობა). გვიჩვენეთ სამხედრო ძალა, რომელსაც ეცოდინება თუ რა არის დისციპლინა და ჩვენ მზათ ვართ ახალი მსხვერპლის გაღებისათვის, მაგრამ აიძულეთ სხვებიც, რომ მაგათმაც მიიღოს მონაწილეობა დემოკრატიის საქმის გაკეთებაში. მთავრობის სისუსტე და აქედან გამომდინარე უმოქმედობა ხალხის ფართო მასსამ შეიგნო ამ უკანასკნელ დღეებში. უკვე არის შეგნება, რომელზედაც უნდა დავაშენოთ მთავრობა. მეორე მხრით, ჩვენ უკვე შევდივართ ერთნაირ დამოკიდებულებაში გარეშე სახელმწიფოებთან. მათი წარმომადგენლები რომ მოვლენ ჩვენში, თუ მტკიცე სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია და მთავრობა არ დაინახეს, მაშინ ჩვენ არ მოგვეიცდიან და მართვა-გამგეობის საქმეში თვითონ ჩაერევიან და ჩვენს კუთხეს მაშინ ისეთი ბედი ეწევა, როგორიც წილად ხვდა უკრაინას. მაშინ შეიქნება ძალა, მაგრამ ეს ძალა ხალხის სიღრმიდან არ იქნება ამოცენებული, არამედ ის იქნება ხიშტებზე დამყარებული, რაიც დემოკრატიას სამსახურს არ გაუწევს. მტრები ახლოს არიან და ჩვენ სასწრაფოთ უნდა შევქმნათ სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. თუ ჩვენ შევქმნით სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას, მაშინ ჩვენ ანგარიშს გაგვიწევენ, რადგანაც რეალურ ძალას წარმოვადგენთ. დღეს ცენტრალური საკითხი—ეს მთავრობის ორგანიზაციაა. ამიტომ ჩვენ უნდა გადავდგათ გადამჭრელი ნაბიჯი, ჩვენ უნდა ავიშოროთ თავიდან ორ-უფლებიანობა, ჩვენ უნდა დავყოთ, განვსაზღვროთ ფუნქციები რევოლიუციონურ ორგანიზაციების და მთავრობის შორის.

დღეს ჩვენ აშკარათ უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ არ გვაქვს ისეთი ორგანო, რომელიც უმცირესობას აიძულებს დაემორჩილოს უმრავლესობას; ჩვენ არ გვაქვს საშუალება იარაღი ავყაროთ იმ ნაწილებს, რომლებიც დემოკრატიის ინტერესებს ეწინააღმდეგებიან. ჩვენს სახელმწიფოს არ აქვს მუდმივად მომქმედი ორგანო—სასამართლო. არ მოგვეპოვება სამხედრო ძალა, ვინაიდან მთავარი გული სამხედრო ძალებისა—ეს წითელი გვარდიაა. ჩვენ უნდა გვყავდეს მუდმივი ჯარი, ფართე მასაში უკვე შეიგნეს ამის საჭიროება. ამისათვის კიდევ ვიტყვი, რომ აუცილებელია სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნა. ჩვენ უნდა სასტიკად განვსაზღვროთ სახელმწიფოებრივი ფუნქციები კლასობრივი ორგანიზაციის ფუნქციებისაგან. სასტიკად უნდა განისაზღვროს საკანონმდებლო და ადმინისტრატიული ორგანოების ფუნქციებიც. თუ ჩვენ ეს შევძელით, მაშინ წავალთ გამაგრების გზით და ჩვენ შევინარჩუნებთ იმ მცირე, უმნიშვნელო უფლებებს მაინც, რომელიც მოგვცა საზავო ხელშეკრულობამ.

ხალხის შეგნება და მოთხოვნილება უკვე არის, ჩვენ ახლა ამით უნდა ვისარგებლოთ. (ხანგრძლივი ტაში).

**ა. ფარნიევი** ამბობს, რომ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები მთავრობას მოქმედებაში ხელს უშლიდენო.

**გ. ერძე.** ფარნიევის შეხედულება ზერელეა. იყო ობიექტიური პირობები, რომლებიც ჩვენს გარეშე არიან და რომლებმაც სხვა მიზეზებთან ერთად დაასუსტეს მთავრობა, აუცილებლად საჭირო იყო საბჭოს არსებობა, რადგანაც ამიერ-კავკასიის მთავრობაში შედიოდენ არა დემოკრატიული ელემენტები, რომლებსაც დემოკრატია სავსებით ვერ მიანდობდა თავის ინტერესების დაცვას. საქართველოს რესპუბლიკაში კი უკეთესი პირობებია, აქ ისეთი ელემენტებისაგან თავისუფალნი ვართ, როგორიც იყო ამიერ-კავკასიაში. ამიტომ სწორი ნაბიჯი იქნებოდა არც ერთი ორგანიზაცია არ დავანგრიოთ, ისე მოვაწყოთ საქმე. რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა აკეთონ თავიანთი საქმე, ხოლო სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას გადასცენ ჯარი, წითელგვარდიელები და ყველა სახელმწიფო ფუნქციები.

**ახათიანი** აღნიშნავს, რომ რევოლიუციონური ორგანიზაციები განსაკუთრებით მუშაობდენ ცენტრში, პროვინციები კი მიტოვებული იყო. ეხება იმ ფაქტსაც, რომ ჩვენს გარდა რევოლიუციონური ტრიბუნალისა, სასამართლო არ მოგვეპოვება და სხვ., და მოითხოვს სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის სასწრაფოდ შექმნას.

**მუხარინსკი** აღნიშნავს, რომ რევოლიუციონური ორგანიზაციები მხოლოდ მაშინ ერეოდენ სახელმწიფოებრივ საქმეებში, როცა მთავრობა სუსტი იყო და კრიზისი დგებოდა; ორატორი ასახელებს რამოდენიმე შემთხვევას ამ ორგანიზაციების სახელმწიფო ფუნქციების ასრულებისას და ამბობს, რომ რევოლიუციონურ ორგანიზაციებმა მთელს მხარეს დიდი სამსახური გაუწიეს, ისინი სრულებით არ მიისწრაფოდენ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებისაკენ, თუმცა ამის საშუალება მათ ბევრჯერ ჰქონდათ და დღესაც აქვთ.

**ვ. ჯუღელი** ეკამათება ფარნიევს და ამბობს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია მხარი დავუჭიროთ ისეთ მთავრობას, სადაც შევლენ ნაციონალ დემოკრატები. უნდა შესდგეს მთავრობა, დემოკრატიულ პარტიებისაგან და მაშინ ყოველგვარ დახმარებას აღმოვუჩენთ მას. ორატორი ეხება საბჭოების დადებით მუშაობას და ამბობს, რომ ისინი მაშინ იღებდენ თავის თავზე სახელმწიფოებრივ ფუნქციების ასრულებას, როცა მთავრობა არ იყო.

ასეთი უდიდესი განცდის დროს მაგარი მთავრობის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ იქ გავგზავნით ჩვენს საუკეთესო ამხანაგებს. მე გადაჭრით ვაცხადებ, რომ თუ დემოკრატიის მესვეური ნოე ჟორდანია არ შევიდა მთავრობაში, ჩვენ არასოდეს არ გვეყოლება მაგარი მთავრობა. ჩვენთვის ძნელია ასეთ ტრაღიკულ დროს ჩვენი საუკეთესო ამხანაგის მთავრობაში გაგზავნა, მაგრამ თუ არის შესაძლებლობა ჩვენი გადარჩენის, ჟორდანია მოახერხებს, თუ არა ქართველ ერთან ერთად ჟორდანიაც დაიღუპება. ჩვენ, მარქსისტები ვამბობდით, რომ ისტორია ქმნის პიროვნებას და არა პიროვნება ისტორიას, სავსებით მართალი არ არის. უნდა ითქვას, რომ პიროვნებას შეუძლია დიდი როლი ითამაშოს ისტორიაში. და ამას ჟორდანია შეასრულებს, რადგანაც მას აქვს მთელი დემოკრატიის ნდობა დამსახურებული.

**ქიაბერიძე** აღნიშნავს, რომ რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა დიდი სამსახური გაუწიეს რევოლიუციას და მათ გააკეთეს ყველაფერი, მხოლოდ სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია ვერ შექმნეს. ამის შექმნა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა არ იქნება ორი ორგანო.

**ი. რამიშვილი** ამბობს, რომ საჭიროა სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შესაქმნელათ ფართე მასსის მომზადება, ფართე პროპაგანდა, ვინაიდან ჩვენი ხალხის პსიხოლოგიურად მტრულ განწყობილებაშია ყოველგვარ მთავრობასთან, ეს პსიხოლოგია შექმნა მონარქიულ სახელმწიფოსთან ბრძოლამ და დღესაც ფართე მასსა იჭვის თვალით უყურებს ყოველგვარ მთავრობას, აი ეს არის მთავარი მიზეზი მთავრობის სისუსტისა. სანამ ამას არ მოვსპობთ, მანამ შეუძლებელია მაგარი მთავრობის შექმნა.

მომხსენებელი **ი. წერეთელი** ამტკიცებს, რომ რევოლიუციონური ორგანიზაციები დღემდე სახელმწიფოებრივ ორგანიზაციის შექმნის საქმეში პროგრესიულ როლს თამაშობდნენ, ამ მომენტიდან კი ისინი დემოკრატიის ამ მიმართულებით განვითარებას მხოლოდ ხელს შეუშლიან. მაშინ დემოკრატია არ იყო იმდენად მომზადებული, რომ შექმნა ნამდვილი სახელმწიფოებრივი აპარატი და ამავე დროს არ ენდობოდა სხვა კლასის მიერ შექმნილ აპარატს. აი მაშინ დემოკრატია იძულებული იყო შექმნა მთავრობის სუროგატი. ახლა კი ყველა პირობები სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის მოსაწყობად საკმაოდ მომწიფებულია და რევოლიუციონური ორგანიზაციები ვალდებულია ხელი შეუწყონ დემოკრატიას ახალი სახელმწიფოებრივი აპარატის მშენებლობაში. ამ გზით ისინი გაამაგრებენ დემოკრატიულ წყობილებას და განამტკიცებენ თავის კავშირს მასთან. ჩვენ ყოველთვის ვლაპარაკობდით, რომ დადგება ისეთი მომენტი, როცა რევოლიუციონური ორგანიზაციები მთელ ძალა-უფლებას გადასცემენ დემოკრატიულ სახელმწიფო ორგანიზაციას და დაადგებიან კლასიურ პოზიციას. ეს მომენტი უკვე დადგა, რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა სახელმწიფო ფუნქციები უნდა გადასცენ სპეციალურად ამისთვის შექმნილ ორგანოებს, თვითონ კი კლასობრივ ნიადაგზე დადგენ და პოლიტიკური ხელმძღვანელობა გაუწიონ დემოკრატიას. (ხანგრძლივი ტაში).

კრებამ დიდი ხმის უმეტესობით (41 ხმა 22 თავი შეიკავა) მიიღო შემდეგი რეზოლიუცია, ნ. ჟორდანიას მიერ წარმოდგენილი: იქონია რა მსჯელობა ჩვენი მხარის პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ, რომელიც შექმნა ოსმალეთთან ზავის ჩამოგდების შემდეგ, საერთო კრებამ ამიერ-კავკასიის ცენტრის, აღმასრულებელ კომიტეტის და წითელი გვარდიის შტაბის, დაადგინა: მთავარი მოთხოვნილება მომენტის—მტკიცე სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნაა, რომელიც შესძლებს მთელი დემოკრატიის გაერთიანებას და წინააღუდგება, როგორც გარეშე, ისე შინაური მტრის იერიშებს ჩვენი დამოუკიდებლობის და რევოლიუციით მონაპოვრების გასანადგურებლათ მოტანილს. რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა, რომელსაც ჰყავდა საკმაო რეალური ძალა, ასრულებდა ზოგიერთ სახელმწიფოებრივ ფუნქციებს ერთის მხრით და მთავრობამ, რომელსაც არ გააჩნდა რეალური ძალა მეორე მხრით, ცალცალკე ვერ შესძლეს სახელმწიფოებრივი აპარატის შექმნა. მხოლოდ ამ ორი ელემენტის გაერთიანებას შეუძლია შექმნას მაგარი მთავრობა. რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა მთელი რეალური ძალა უნდა გადასცენ მთავრობის განკარგულებაში და თვითონ კი პოლიტიკური ხელმძღვანელობა გაუწიონ მუშათა კლასს. ამ გაერთიანების ფორმის გამომუშავება მიენდო ამ. კომ. ბიუროს მთავრობასთან შეთანხმებით.

აკ. ხ—უა.

# დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

9 ივნისი.

**ბერლინი.** დასავლეთის ფრონტი. დრო გამოშვებით საარტილერიო სროლაა; მოქმედებენ მზვერავები. მატცტიერის ჩრდილო-დასავლეთით მოწინააღმდეგის იერიშები მხოლოდ ზოგიერთ ნაწილებში დასრულდა გამარჯვებით. ფრანგების, ამერიკელების და ინგლისელების იერიშები მოვიგერიეთ. სხვა ფრონტებზე ცვლილება არ მომხდარა.

**ვენა.** მოწინააღმდეგის მზვერავთა რაზმების თავდასხმა მოვიგერიეთ აზიაგოსა და ბრენტის შუა საარტილერიო თუ ხელჩართული ბრძოლით. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე გრძელდება გაცხარებული საარტილერიო ბრძოლა.

10 ივნისი.

**სტამბოლი.** სამხედრო მოხსენება. საარტილერიო სროლას მოყვა დიდი ძალებით შეტევა ზღვის პირას. მოწინავე პოზიციებზე გაჩაღდა სასტიკი იერიშები ხიშტებით. ხან ერთი მხარე იმარჯვებდა, ხან მეორე. ჩვენი რაზმების სასტიკი წინააღმდეგობის გამო მოწინააღმდეგემ ვერ შესძლო მოეტანა იერიშები ჩვენს პოზიციებზე. შუადღისას მოწინააღმდეგენი გავრეკეთ მათ მიერ დაჭერილ ჩვენი პოზიციებიდან. ჩვენ გავფანტეთ ორი ბატალიონი, რომლებიც მზად იყვნენ შემოტევისათვის. ყველა ჩვენი პოზიციები [illegible] ჩვენს ხელშია. მოწინააღმდეგის ზარალი დიდია. სხვა ფრონტებზე არაფერი საყურადღებო არ მომხდარა.

**ბერლინი.** სამხედრო მოხსენება. დასავლეთის ფრონტი. კრონ პრინც რუპრეხტის ჯარი: საარტილერიოს სროლა გუშინ საღამოს არა ერთხელ გაძლიერდა. დღეს დილით კიდევ უფრო ძლიერი იყო სროლა კემელის რაიონში, ხომას სამხრეთით და აერასთან. იპრის სამხრეთით ფრანგების და ბომონის ჩრდილოეთით ინგლისელების ნაწილობრივი იერიშები მოგერიებულ იქნა.

გერმანიის კრონ-პრინცის ჯარი. უაზაზე გაცხარებული ბრძოლაა. ფრანგების იერიშები მდ. ენნეს ნაპირზე და ურსის სამხრეთით დამარცხებით დათავდა. კურტრისთან ჩვენ წამოვიყვანეთ 45 ტყვე. ფრანგებმა და ამერიკელებმა, შეტევაზე გადასვლის შატოს ჩრდილო-დასავლეთით, ვერ გაიმარჯვეს და დიდი ზარალით უკუვაქციეთ ძველ პოზიციებზე.

გერცოგ ალბრეხტის ჯარი: მოზელის აღმოსავლეთ ნაპირზე ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეები.

**ბერლინი.** უაზის დასავლეთით ჩვენ ავიღეთ გურის მაღლობები, [illegible] ახლო მდებარე მოწინააღმდეგის პოზიციები.

**პარიზი.** სამხედრო მოხსენება. მოწინააღმდეგის ჯარების მიერ დილიდან დაწყებული იერიშები მონ-დიდიეს და ბეფრეს შუა შუადღისას გაძლიერდა, როცა გერმანელებმა ორჯერ მეტათ გაამრავლეს თავის ჯარები, რომ გაერღვიათ ფრონტი. საფრანგელის ჯარებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის იერიშები მთელ ფრონტზე, სადაც გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა. მარცხენა ფრთაზე გერმანელებმა ვერ გაიმარჯვეს, ისინი შეაჩერეს აბეკურ-რეტრ მორტემერის ხაზზე.

# მთავრობის სხდომა

მთავრობის სხდომაზე 8 ივნისს ბაქოს ქართველ მცხოვრებთა დელეგატის მოხსენებით (ბაქოში 10,000-მდე ქართველი ყოფილა), მთავრობამ დაადგინა შეუთანხმდეს უკრაინელთა საბჭოს, რომ ბაქოში მან დაიცვას ქართველთა ინტერესები.

ეთხოვოს გრაფ შულენბურგს, რომ მან გერმანიის წარმომადგენელს რუსეთში გრაფ მირბახს გადასცეს საქართველოს მთავრობის თხოვნა რუსეთში მყოფ ქართველთა ინტერესების დაცვის შესახებ.

სალიკვიდაციო კომისიას წინადადება მიეცა მუშაობის გათავება დააჩქაროს და ნება მიეცეს მას იქონიოს საკუთარი კანცელარია.

ადერბეიჯანის რესპუბლიკის შუამდგომლობით დადგენილ იქნა გადაიდოს მისთვის 7 მილიონი მანეთი.

ადერბეიჯანისთვის საჭირო ვაგონების რაოდენობის გამოსაანგარიშებლად შესდგა შეთანხმებელი კომისია, ამასთანავე ადერბეიჯანის რესპუბლიკას წინადადება მიეცა ამ კომისიაში საჩქაროდ დანიშნოს თავისი წარმომადგენლები.

ადერბეიჯანის რესპუბლიკას ნება მისცეს არა-ჩვეულებრივ შემთხვევებში ისარგებლოს თფილისის რადიო სადგურით.

ფუნიკულიორზე რადიო სადგურის მოწყობის საქმე სამხედრო მინისტრს მიენდო.

დაადგინეს გაუქმებულ იქნას თავდაცვის უმაღლესი საბჭო და ამის შესახებ შესაფერი ბრძანება გამოიცეს.

სამხედრო მინისტრს დაევალა ერთად-ერთ ბრძანებაში მადლობა გამოუცხადოს იმ ჯარს, რომელიც გენ. შიხლინსკის რაზმში ბაქოს წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს დროებით გამგეთ მინისტრ პრეზიდენტს წინადადება მიეცა ამხანაგი მოიწვიოს.

გენ. ოდიშელიძეს და რცხილაძეს დაევალა ოსმალეთის მთავრობასთან ახალი კონვენცია დასდონ საზღვრებთან ახლო მდებარე საძოვარ ადგილებით სარგებლობის შესახებ ხოლო შინაგან საქმეთა მინისტრს დაევალა გამოარკვიოს ნამდვილი მდგომარეობა ამის შესახებ.

მოწონებულ იქნა აბხაზებსა და საქართველოს შეთანხმების პროექტი, რომელიც საქართველოს რწმუნებულებმა შეიმუშავეს.

ყველა დაწესებულებათა შემცირებულ შტატების განსახილველად შესდგა საგანგებო კომისია, რომელშიაც შედიან შემდეგი მინისტრები: ფინანსთა, შინაგან საქმეთა და შრომის.

საერობო კავშირის შუამდგომლობა 642,000 მანეთის დამატებით დახმარების შესახებ დათხოვნილ მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლად არ იქნა დაკმაყოფილებული.

შინაგან საქმეთა მინისტრს დაევალა გადასინჯოს გაზ. „კავკაზ“-ის და „საქართველოს რესპუბლიკის“ შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა.

რუსთა ეროვნულ საბჭოს შუამდგომლობა რუსულ კორპუსის აფიცრებისთვის 800,000 მან. გადადების შესახებ, განიხილა მთავრობამ და დაადგინა ცოლიანებს მიეცეს 1,000 მან., უცოლოებს—500 მან. რაც შეეხება სხვა გადასახადებს, სახალხო კომისართა საბჭოს ეთხოვოს გამოგზავნოს ამისთვის საჭირო ფული და განუმარტოს მას, რომ ამისთვის საქართველოს რესპუბლიკას საშუალება არა აქვს. სამხედრო მინისტრს დაევალა შეადგინოს სია იმ პირთა, რომელთაც დახმარება უნ. და მიეცეს.

ფინანსთა მინისტრს დაევალა შეადგინოს საშინაო სესხის პროექტი.

დაადგინეს: შტატს გარეშე დარჩენილ მოსამსახურეებს 2 თვის ჯამაგირი მიეცეს.

ეროვნულ ქონებათა ინსპექტორის თანამდებობა გაუქმებულ იქნა.

მთავრობის სხდომები მოხდება სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

# ახალი ამბები

**საქართველოს ეროვნული საბჭო.** დღეს, შუადღის 1 საათზე თეთრ დარბაზში შესდგება საქართველოს ეროვნულ საბჭოს სხდომა.

✦ **მთავრობამ დაავალა** ბეჭვდითი სიტყვის ბიუროს გამოაცხადოს, რომ საზავო ხელშეკრულება, რომელიც სხვა და სხვა გაზეთებში დაიბეჭდა ნამდვილს არ შეეფერება (სწორე არ არის). ხელშეკრულება სწორე რედაქციით მოკლე ხანში იქნება გამოქვეყნებული.

✦ **გერმანელთა ჯარი** თფილისში 9 ივნისს ფოთიდან ჩამოვიდა გერმანელთა ჯარის ერთი ნაწილი. ქვეითა ჯარის სამხედრო დროის ერთი ბატალიონი და ერთიც სა იერიშო ბატალიონი ტყვიისმფრქვევლებით და ყუმბარის მსროლელებით. მათ თან მოჰყვა ბევრი გერმანელი აფიცრები. გუშინ შუადღის 3 საათზე უნდა ჩამოსულიყვნენ გერმანელი მფრინავები ჰაეროპლანებით: ახლო ხანში თფილისში ჩამოვა იარაღით, სანიტარულ საგნებით და სურსათით გერმანელთა დიდი ტრანსპორტი. ფოთში უკანასკნელ დღეებში ჩამოვიდა გერმანელთა წყალქვეშა ნავების მცირე ფლოტილია.

✦ **დონის ოლქი,** როგორც თფილისში ცნობა მოვიდა, გენ. კრასნოვს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოუცხადებია გერმანელებთან შეთანხმებით. გენ. კრასნოვს გაუუქმებია ყველა კანონები და დეკრეტები, რომლებიც რევოლიუციის დაწყებიდანვე იქნა გამოცემული. დაუთხოვნია როსტოვის და ნახიჩევანის ქალაქის საბჭოები და შეუთანხმებია გერმანიასა და უკრაინას.

✦ **ქუთაისიდან** ნაფიც ვექილთა კრების თავმჯდომარე ხელთუფლიშვილი მთავრობას სთხოვს განმარტებულ იქნას არის თუ არა საქართველოს ეროვნულ საბჭოს დადგენილება ან მთავრობის განკარგულება ქუთაისში საგანგებო საფინანსო კომისიის დაარსება, რომელმაც 10 მილიონ მანეთის ძალდატანებითი სესხი დააწესა და რა კანონითაა განსაზღვრული მისი კომპეტენცია. მთავრობამ 8 ივნისის სხდომაზე დაავალა შინაგან საქმეთა მინისტრს მოსთხოვოს ქუთაისის გუბერნიის კომისარს განმარტება როგორც ხსენებულ კომისიის დაარსების, ისე კიდევ იმ მიზეზების შესახებ, რომლებმაც 10 მილიონის ძალდატანებითი სესხის დაწესება გამოიწვია.

✦ **შოფერების კრება** მოხდა 9 ივნისს, დაესწრო 200 მდე კაცი. გამოირკვა, რომ ყაზბეგთან საქართველოს სამხედრო გზის დახურვის გამო მთავლათ დარჩენილან შოფერები უმუშევრათ. კრებამ დაადგინა სთხოვოს მთავრობას მიიღოს ზომები გზის გასახსნელად.

✦ **სადგილ-მამულო რეფორმის გარშემო.** მიწათ-მოქმედების სამინისტრომ განმარტა, რომ მემამულეებს მიწა უნდა ჩამოერთვას, მიუხედავათ იმისა, თუ რა საშუალებით შეუძენია მათ ეს მიწა. მემამულეებს უტოვებენ განსაზღვრულ სივრცის მიწას, რომ მან აწარმოვოს თავისი მეურნეობა და არ საჭიროებდეს საზოგადოებისაგან დახმარებას.

— აბხაზთა წარმომადგენლებმა სთხოვეს მიწათ-მოქმედების სამინისტროს აღმოუჩინონ მათ დახმარება აბხაზეთში სადგილ-მამულო რეფორმების გატარების საქმეში.

✦ **საკონსტიტუციო კომისიაში** ამოირჩიეს: ჯაფარიძე ს., რ. არსენიძე, ნ. ჟორდანია, საყვარელიძე პ., ჩერქეზიშვილი ვ., რცხილაძე. გრ., დადიანი ს., გვაზავა გ., მაყაშვილი კ. 11 ივნისს დილის 11 საათზე დანიშნულია ამ კომისიის კრება თეთრ დარბაზში.

**კრებები და მიტინგები.**

დღეს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია მესამე სამილიციო ნაწილის ს.-დემ. და თანამგრძნობთა საზოგადო კრება. (საპროფესიო სკოლის შენობა, ჟუკოვის ქუჩა № 9) დღის წესრიგი: მიმდინარე მომენტი, მცირე კოლექტივის არჩევნები.

# ქალბატონი მარუსიას რაზმი

თერგის ოლქში მოგზაურობის დროს ერთი საყურადღებო ცნობა გადმომცა მოქალაქე ხიდოროვმა, ბოლშევიკების სამხედრო შტაბის უფროსმა. სარატოვის გუბერნიაში ცირკის ცნობილ მოჯირითე მარუსიას შეუდგენია რაზმი ფრონტიდან დაბრუნებული ჯარის-კაცებისა და მეზღვაურებისაგან. დაუჭერია რკინის გზები და ახლო მახლო მდებარე დაბა-ქალაქებისთვის მუსრი გაუვლია. ეს რაზმი შესდგებოდა ოცდა ათი ეშელონიდან. აუარებელი მატარებელი, ქონებით დატვირთული, მას უკან მისდევდა, მოქალაქე მარუსია არ სცნობდა ბოლშევიკების მთავრობას. ოფიციალურად მისი რაზმი ანარქისტების სახელს ატარებდა. მარუსიას გადაუწყვეტია ჩვენსკენ წამოსვლა თერგის ოლქით. თერგის მესვეურებს მიუღიათ ყოველივე ზომა, რომ მისი რაზმისთვის სასტიკი წინააღმდეგობა გაეწიათ. მოუხდენიათ მთელი ძალების მობილიზაცია. გაუმაგრებიათ ყველა პოზიციები. მათ და საბედნიეროდ მარუსია გზაზე დაუმარცხებიათ. როდესაც ცარიცინის ბოლშევიკებს შეუტყვიათ, რომ ჩვენი დროის ამაზონკა ილიოდორის სამშობლოს უნდა ესტუმროს, საგონებელში ჩავარდნილან. ცარიცინელებს საკმარისი ძალა არ ყოლიათ. ისინი იძულებულნი გამხდარან მიემართნათ გერმანელ-ავსტრიელ სოციალისტურ ტყვეებისთვის და მათთვის დაუვალებიათ მარუსიასთან ბრძოლა. ამ ინტერნაციონალურ რაზმს პირნათლად შეუსრულებია დავალება და ცარიცინის ახლოს სასტიკათ დაუმარცხებია ანარქისტების რაზმი. მთელი ნადავლი წაურთმევია. თვითონ მარუსია ბრძოლის დროს მძიმეთ დაჭრილა. ამ ნაირათ გადარჩა თერგის ოლქი და, შეიძლება ჩვენი ქვეყანაც, ყაჩაღების შემოსევას.

ამ ისტორიას თავისი დასკვნა აქვს. თერგის ოლქის დღევანდელ მთავრობას სრულებით არ სურს საქართველოს შემოესიოს. ამ მხრივ მათი განცხადება სრულებით გულწრფელია. მაგრამ ვინ არის თავდები, რომ არ გამოჩნდება სადმე ჩვენს მეზობლად რომელიმე დაშა, ან ლიზა და იერიშით არ წამოვა. საერთო ანარქიის წყალობით ყველაფერი მოსალოდნელია. ამისთვის ჩვენი ჩრდილოეთის საზღვარი გამაგრებული უნდა იყოს.

ბ. თეკლათელი

# ოსები საქართველოში

**შესაძლებელია თუ არა ოსების დამოუკიდებლობა საქართველოში და ვინ მოითხოვს მას?**

ოსების შესახებ ბევრმა ისტორიკოსებმა, პროფესორებმა, ექიმებმა და ვინ იცის, ვინ არ დაიწყეს ქექვა წარსულში.

უნდოდათ გაეგოთ საიდან ჩამოფრინდა დედამიწაზე ეს უცხო უსახელო ფრინველი, რომლის გალობაც არ გავს არც ერთი ფრინველის გალობას.

ზოგმა ებრაელების ჩამომავლობა გვიწოდა, ზოგმა [illegible], ზოგმა რა და ზოგმა რა, მაგრამ არც ერთს არ გამოუკითხავთ, არაფერში შეეძლოთ ჩვენი მოხმარება, ჩვენ არ გვესმოდა სხვისა გალობა, არავის არ ესმოდა ჩვენი გალობა. ჩვენ გვშიოდა, ამის მიზეზს კი არავინ ძიობდა. ჩვენ დავსახლდით ქართველ დემოკრატიასთან ახლოს, ბევრ ადგილებში განსხვავებასაც ვეღარ აჩნევს კაცი, ბევრ სოფლებში სანახევროთ ოსებია დასახლებული. ოსები ცხოვრობენ რაჭის მაზრაში, შორაპნის მაზრაში, გორის მაზრაში, დუშეთის მაზრაში და თელავის მაზრაში. ოსების გალობა გაიგო ქართველმა გლეხობამ. მან გაიგო, რომ ოსებს შიათ, მან არ დაუწყო კითხვა ვინ ხარ, საიდან ჩამოფრენილხარ, რა ენაზე გალობ და ღვიძლის ძმურათ იცხოვრეს. არც ერთხელ არ უთქვამთ ერთმანეთისათვის, შენ ჩემი მტერი ხარ, მე მშიან, შენ მაძღარი ხარ, მე ქართველი ვარ, შენ ოსი ხარ, მე ნასწავლი ვარ, შენ უსწავლელი.

შარშან ამიერ-კავკასიის ოსების წარმომადგენლების პირველ კრებაზე 5 ივნისს სოფ. ჯავაში ნ. ნ. ჯიოევმა გაუბედავათ, გაუგებრათ აღძრა ოსების ცალკე გამოყოფის—დამოუკიდებლობის საკითხი, კრებამ უარი უთხრა. იგივე ნ. ჯიოევმა შარშან ქალ. კავკავში ამიერ-კავკასიის და ჩრდილოეთ კავკასიის ოსების წარმომადგენლების პირველ კრებაზე 17 ივნისს აღძრა ოსების გამოყოფის და დამოუკიდებლობის საკითხი, კრებამ არც მაშინ მიიღო. 28 მაისს ამა წლის ამიერ-კავკასიის

...ების წარმომადგენლების მესამე კრებაზე ...ფ. ჯავაში ბ. ბ. პ. თედეევმა და ბ. კოჩიევმა ...ძრეს ოსების გამოყოფის—დამოუკიდებლო...ს საკითხი. ამ კითხვის საბოლოოთ გადასაწყ...ტათ ამა თვის 15-ში მოწვეულია ოსების ...არმომადგენლების მეოთხე კრება.

რამდენი მომხრე აღმოუჩნდებათ ბ. ბ. ნ. ...იოევს, პ. თედეევს და ბ. კოჩიევს, მე არ ...ვიცი. ვიცი მხოლოდ ის, თუ მათმა პოლიტი...კამ გაიმარჯვა, ოსები ისეთივე მდგომა...რეობაში ჩავარდებიან, რა მდგომარეობა...შიაც იმყოფება ამ ჟამათ სომხის ერი. „დაშ...ნაკცაკანების" პარტიის პოლიტიკის წყალო...ბით დღეს დალუპულია მთელი სომხეთი და ...დაობლებული უსახლ-კაროთ დარჩა და შიმშილ...ებში და ტყეებში იფარავს თავს. მაშ, ფთხი...ლათ, აწონ დაწონე, ნუ აყვებით უპასუხის...გებლო პოლიტიკანებს, ნუ დაივიწყებთ, რომ ...ოსები ერთ ადგილზე არა ხართ დასახლებუ...ლი და არც ისე ადვილია ცალკე სახელმწი...ფოს შექმნა და მისი ხარჯების გაწევა.

რატომ უწინ არ მოითხოვდენ ოსებისათვის ისეთ ძვირფას მარგალიტს, როგორიცაა ოსე...ბის დამოუკიდებლობა?

იმიტომ, რომ მაშინ თფილ ადგილებზე იხს...ენ, რუსეთის უზარ-მაზარი ხაზინა ჰფენდა ...თავის სხივებს და აკმაყოფილებდა მათი ეკო...ნომიურ მოთხოვნილებებს და ისინიც არ ამჩ...ნევდენ ოსის ერის გაჭირვებას. ახლა კი, რად...განაც აღარ არსებობს რუსეთის უზარ-მაზარი ხაზინა და მოაკლდათ მსუქანი ლუკმა, რომ ...მშიერ მწყურვალი არ დარჩენ, გაახსენდათ ...შექმნათ ოსეთის ცალკე სახელმწიფო, გვექ...ნება საკუთარი ხაზინა, საკუთარი რკინის და ...შარა გზები, საკუთარი ფოშტა-ტელეგრაფი, საკუთარი უნივერსიტეტები, საკუთარი სასა...მართლოები, საკუთარი ჯარი და მინისტრები ...ავხდებითო. ასეთია ინტელიგენციის ფსიხო...ლოგია, ასეთია მათი ეკონომიური კანონები. ...ტორიულათ და მეცნიერულათაც დამტკი...ცებულია, რომ ინტელიგენციის თვისებაა: თა...ვის თავს უწოდოს ერის მოსარჩლე, ამას აი...ძულებს მას მისი ეკონომიური ინტერესები, მისი მდგომარეობა. გონებრივი მუშაობა ერ...თად-ერთი სალსარია ამ წრის ხალხის, ასეთი ...მუშაობა კი შეუძლიათ უმთავრესათ თავის ...ერში, ის ყოველი ღონის ძიებით ცდილობს ...ცხოვრება თავის ნაციონალისტურ იდეალებს და მისწრაფებებს დაუმორჩილოს. მაშ, თქვენ გინდათ, რომ ოსები ქართველებში გაითქვი...ფონ და დაჰკარგონ სამშობლო ენა?

რა მოუცია ქართულ კულტურას, ერთი ბე...წო ნაბდის ქუდის მეტი? გულმოსული ლაპა...რაკობდა ბ. ნ. ჯიოევი ერთ ერთ კრებაზე.

ქართველი დემოკრატია არას დროს არ უზღუდავდა უფლებებს ოსის დემოკრატიას, ქართველი დემოკრატიას არა დროს არ დაუ...ტანებია ძალა ოსის დემოკრატიისთვის სამშობ...ლო ენაზე ხელი აიღეო. ქართ. და ოსის დემოკ...რატიას დიდი ხანია შეუგნიათ ერთმანეთი ბ მიუ...ხედავათ იმისა, რომ მათ შორის არ სხედენ უმაღ...ლეს სასწავლებელ დამთავრებული მთარგმნე...ლები, ისინი ერთმანეთს ელაპარაკებიან, ერთ...მანეთს აგონებენ თავიანთ გულის ნადებს და წარმოიდგინეთ, არც ქართველებს და არც ოსებს ხელი არ აუღიათ თავიანთ სამშობლო ...ენაზე. რა საჭიროა ცარიელი ლაპარაკი, თუ ...ვინმეს სურს ოსის ერისთვის გააკეთოს რამე ...ის უშლით? რა საჭიროა ნაცარქექიასავით ...ტრაბახი, ამ მთას მოვგლეჯავ, იმ მთას ვესვრი, შავზღვას პირით ამოვაშრობო და ნაცრისქე...ქის მეტს კი არას აკეთებს. თუ გზების კეთე...ბა შეუძლიანთ, რატომ არ აკეთებენ, ვინ უშ...ლით? თუ სასწავლებლების კეთება შეუძლიათ, რატომ არ აკეთებენ, ვინ უშლით? თუ ცალკე ხაზინის შექმნა შეუძლიანთ, ვის უყურებენ, ვინ უშლით? და ასე ბოლომდის რომ გავყვეთ დავინახავთ, რომ ყველაფერი თვით ხალხის კისერზე უნდა დააწვეს და თუ რაღაცა ასი...ათასი ოსი მცხოვრებია ამიერ-კავკასიაში დი...დიდან პატარამდის და მათ არ შეუძლიათ ...ცალკე სახელმწიფოს შექმნა შენახვა, ეს რა ან ...ოსის, ან ქართველი დემოკრატიის ბრალია? ...ართული კულტურა უხსოვარ დროიდან სხვა ...ერების კულტურისაგან დამოუკიდებლათ ვი...თარდება და მისი დაწუნება-უარისყოფა მე ...ხელოვნით ზენკალს—უბრალო მუშას არ ძალ...მიძს. ბ. ნ. ჯიოევი ისტორიკია, მან ყველაფე...რი იცის და თუ დაამტკიცებს, რომ არ ვარგა, მეც დავეთანხმები. რაც შეეხება იმ საბუთს, ქართველების კულტურამ ერთი ბეწო ნაბდის ქუდის მეტი არაფერი მოგვცა და ამიტომ ...უარვყოთო, მე არ ვეთანხმები, და აი რატომ. არც ქართველი დემოკრატიის ბრალია, არც ქართული კულტურის, რომ „ერთიბეწო ნაბდის ქუდის მეტი" არაფერი ჩანს. ეს იმ რეჟიმის ბრა...ლია, რომელიც ხალხს სიბნელეში ამწყვდევდა და ნასწავლებს კი კაკარდიან ქუდებს ურიგებ...და. და თუ ქართულმა კულტურამ „ერთიბე...წო ნაბდის ქუდი", წონით ერთი მეოთხედი გირვანქისა მოგვცა, იმასაც დიდი მნიშვნელო...ბა აქვს; მაშ, ისუკეთესია, რომ მთელი ცხვრის ტყავისაგან შეკერილი ქუდი, წონით არა ნაკ...ლებ ხუთი გირვანქისა ზიდო თავზე და კის...რის ძარღვები დალალო უმიზნოთ?

ერთი რამ აშინებს ოსის დემოკრატიას, ეს —ვაი თუ თავად-აზნაურობამ გაიმარჯვოს და ისევ იმათ ხელში დავრჩეთო. ღმერთმა ნუ ქნას მათ ხელში ყოფნა, უმჯობესია მგლებმა შეგვჭამონ ტყეშიო, ასე ლაპარაკობენ ხალხში. მერე თავად-აზნაურობამ რომ გაიმარჯვოს, მარტო ოსებზე დაუჭყეტიათ თვალები? განა ქართველ დემოკრატიას თვალებში ჰკოცნიდა უწინ? თუ თავად-აზნაურობამ გაიმარჯვა ქართველ დემოკრატიაზე, ოსის დემოკრატია იქვე არ არის ქართველებში? თუ თავად აზნაურობამ იმდენი ძალა უფლება ხელში ჩაიგდო, რომ დაიმორჩილოს ქართველი დემოკრატია, იმ შემთხვევაში ოსები რაღა ძალას წარმოადგენენ. ვთქვათ, თელავის მაზრის ოსებს არ მოეწონათ თავად-აზნაურობის გამარჯვება, მერე შეუძლიათ წინააღმდეგობა გაუწიონ? ან დუშეთის მაზრაში, ან გორის მაზრაში, ვთქვათ ატენის ხეობაში, ან გომის რაიონში, ჭვარებში და სხვა ადგილებში? ერთად-ერთ მიუვალ სიმაგრეთ მიაჩნიათ ჩვენს ნაციონალისტებს ჯავის ხეობა. ამ ხეობაში ცხოვრობენ სულ ოსები დაახლოვებით: ჯავის საზოგადოებაში 700 კომლი, როკის ხეობაში 500 კომლი და ყემულიის ხეობაში 400 კომლი. თითოეულ კომლზე რომ ვიანგარიშოთ საშუალოთ 10 სული მცხოვრები, სულ იქნებიან 16,000 სული. თფილისის და ქუთაისის გუბერნიებში კი ცხოვრობენ არა ნაკლებ 100,000 სულისა. მაშ, დანარჩენი 84,000 ოსის ინტერესებს ვის ვანდობთ, ისინი ვის მიეკედლონ? თუ არა და, ვთქვათ, ჯავის ხეობამ არ მიუშვა თავად-აზნაურობა. მერე თვითონ იმათ იქ ცხოვრება არ უნდათ, რა უნდა ჭამონ? ის იმედი, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან მოზიდავენ ყოველთვის საჭირო სურსათს, ეს არ გამართლდება იმიტომ, რომ თვითონ ჩრდილოეთის ოსები ნახევრათ დამშეული ხალხია და გარდა ამისა, მათი არსებობა დამოკიდებულია იქაურ მაჰმადიანებთან განწყობილებაზე. თვით იქაური ოსები ორ ნაწილათ არიან გაყოფილი: ერთი ნაწილი მაჰმადიანების მხარეზეა, მეორე კი ცეცხლის ალში გახვეული. გარდა ამისა უნდა ვიცოდეთ, რომ იქაურ ოსებსა და მაჰმადიანებს შორის სწორეთ მიწის სივიწროვის გამო ასე გამწვავებული დამოკიდებულება და თუ იქაურ ოსებს ისე უხვათ მოეპოვებათ სურსათი, რომ თვითონაც ეყოთ და აქაურებსაც გადმოუგზავნონ, იქვე გვერდზე მცხოვრები მაჰმადიანები რას იტყვიან, ისინიც მოითხოვენ თუ არა სურსათს?

ან არა და ვთქვათ, ჯავის ხეობა გამოეყო საქართველოს, მერე ან ფული არ უნდათ, ან სხვა რამე? რა მოდის ჯავის ხეობაში? არაფერი. ხალხი დამშეულია. ერთად-ერთი ტყეა, რომლითაც ირჩენენ თავს და თუ ამ ტყეში მოჭრილ მასალას არ ჩამოიტანენ, ცხინვალში ან უფრო ქვემოთ, საით უნდა წაიღონ. მთებზე ხომ არ გადაიტანენ ჩრდილოეთ კავკასიაში ან არა დ ჩრდილოეთ კავკასიას როდის სჭირდებოდა აქაური ხე-ტყე, და თუ ამ ტყითაც აღარ ისარგებლებს ჯავის ხეობის მცხოვრებნი, მაშ სხვა რაღა გააჩნიათ. ან არა და სად უნდა მოეწყოს სახელმწიფოს მთავრობა, რომელ ქალაქში ან სოფელში, რომელ ყაზარმებში უნდა იყოს მოთავსებული ჯარი და სხვა დაწესებულებანი?

მე ვფიქრობ ისინი, ვინც ოსების დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნაზე ოცნებობენ, მათ ან არაფერი გაეგებათ ქვეყნიერების ავკარგისა ან-და განგებ სურთ შეატაკონ ქართველი და ოსის დემოკრატია ერთმანეთს და დაღუპონ ის, რაც მოიპოვა ხალხმა.

ა. ფარნიევი.

# თფ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოში

(9 ივნისის სხდომა).

თავმჯდომარეობს ნ. ჟორდანია.

განსახილველია საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა. მომხსენებლათ გამოდის ი. წერეთელი, რომელიც აღნიშნავს რა წარსულ მოღვაწეობას რუსეთში დემოკრატიული პარტიისა, ეხება მუშათა და ჯ.-კაცთა საბჭოების წარმოშობის ისტორიას, ამბობს, რომ პროლეტარიატი და ფართო მასსა არ იყო მომზადებული სახელმწიფოებრივი აპარატის შესაქმნელად და მათ მაგრად ჩაჭიდეს ხელი საბჭოებს და სახელმწიფოებრივი ფუნქციების ასრულება გადასცეს ბურჟუაზიას, რომელსაც კონტროლს უწევდა საბჭოები და თანდათან მარცხნივ მიაქანებდა, თვით ბურჟუაზიული კლასი მოკლებული იყო ყოველგვარ რეალურ ძალას და ხშირად მიმართავდა დახმარება-რჩევისათვის საბჭოებს კრიტიკულ მომენტში. ამის გამო თვით მთავრობა სუსტი და უმოქმედო იყო და სახელმწიფო საქმეებს საბჭოები აკეთებდენ. საბჭოები კი თავიდანვე შექმნილი იყო პოლიტიკური ხელმძღვანელობის გასაწევად, მაგრამ ისტორიამ მას სხვა მოვალეობაც დააკისრა. რუსეთის რევოლიუციის ისტორიაში იყო ორი ხანა: პირველ ხანაში რევოლიუციონური ორგანიზაციები უნდა ცდილიყვნენ და დემოკრატია მოემზადებინათ სახელმწიფოებრივი აპარატის ასამოძრავებლად. აი ამ დროს საბჭოებმა წამოისროლეს ლოზუნგი დამფუძნებელი კრებისა და სანამ ამ ლოზუნგის გარშემო იყო მუშაობა, რუსეთის მთლიანობა დაცული იყო და გარეშე მტერიც ვერას გვაკლებდა. ამ მუშაობასთან ერთად პარალელურად იყო მეორენაირი მუშაობა, მეორე მიმდინარეობა, რომელიც მოუწოდებდენ საბჭოს ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ და რომელიც პირველ ხანაში სუსტი იყო. მაგრამ რუსეთის დემოკრატიის სამწუხაროდ ეს მეორე მიმდინარ...
თანდათან გაძლიერდა, ამ მიმდინარეობამ ...
დაგი იპოვა 4 წლის ომით მოქანცულ ხალ...
და საერთო მდგომარეობით შექმნილ უკმ...
ფილებით ისარგებლა და ძალა-უფლება ...
ში ჩაიგდო. ამ მომენტიდან საბჭოები ...
იქცენ სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ...
რღვევე ორგანოდ, ამ ხალხმა ფეხით გას...
ყველა რევოლიუციით მონაპოვარი დამფუძ...
ბელი კრება და შეაჩერა დემოკრატიულ ...
ხელმწიფოს მშენებლობა, ამ მომენტიდან ...
აღარ არსებობს მთლიანი თავისუფალი ...
თის სახელმწიფო. ჩვენდა საბედნიეროდ ...
ში საბჭოებს თავის პირდაპირ დანიშნუ...
ზე ხელი არ აუღიათ, როგორც ეს რუს...
მოხდა, აქაც საბჭოები ზოგჯერ სახელმწ...
ებრივ საქმეებში ერეოდენ, მაგრამ იმ მ...
რა მიზნითაც ამას პეტროგრადში შვრე...
რევოლიუციის პირველ ხანებში. შემდეგ ...
ტორი აღნიშნავს მაგარი მთავრობის შ...
აუცილებლობას.

განჯის მუშ. და ჯარ. წარმომადგენელ...
ბობს, რომ როგორც მოხსენებიდან ...
ირკვა, საბჭოებმა თავიანთ არსებობაზე ...
უნდა სთქვან და სხვ. ის საჭიროდ სცნობ...
ციალისტები მთავრობას მოშორდენ და ...
ვა-გამგეობის საქმე ქართველ „მუსავატი...
—ნაციონალ-დემოკრატებს გადასცენ.

კ. ჩხეიძე საკმაოდ არკვევს იმ გარე...
თუ როგორ უნდა იყოს სახელმწიფოში ...
დასხვა ფუნქციები დაყოფილი, ის ეხებ...
სეთში საბჭოების დაარსებას, მათ დ...
მუშაობას, აღნიშნავს მათ მიერ მართვა...
ობის ხელში ჩაგდების უნაყოფობ...
დამღუპველობას, მოყავს მრავალი ...
გალითი დასავლეთ ევროპის სახ...
ფოებიდან იმის დასამტკიცებლად, რ...
შათა კლასი ჯერ არსად არ გამოსულ...
გორც კანონმდებელი, რომ ინგლისში ...
ბობს პარლამენტარიზმი, მთავრობა. და ...
ერთად არსებობს მუშათა კლასი, რო...
თავის კლასიურ ინტერესებს აწარმოებ...
სეთის მაგალითმა დაგვანახვა, რომ ...
მთავრობას არ შეუძლია სახელმწიფო ...
ფუნქციების ასრულება, როგორიც არ...
კანონმდებლო, აღმასრულებელი—ადმ...
რატიული, სასამართლო და სხვ. ორ...
ხაზს უსვამს მაგარი მთავრობის შექმნ...
ცილებლობას.

შემდეგ ლაპარაკობენ მთელი რიგი ...
ტორები, რომლებიც მთავარ ყურა...
თფილისში ნემცების მოსვლას აქცევენ ...
ბობენ, რომ საქართველოს რესპუბლიკ...
ბე...ი ეწევა, როგორიც უკრაინის ...
ლადო და სხვ. ისინი საბჭოს არსებობ...
უსვამენ და ამბობენ, რომ დღეიდან ...
ყოველგვარი უფლება წაერთმევაო.

ნ. ჟორდანია. უკანასკნელი ორ...
სიტყვა (რებრუხის მიერ წარმოთქმულ...
ძულებს ერთგვარი განმარტება მივსც...
ნემცების თფილისში მოსვლის შესახებ...
გორც ირკვევა, მთავარი საკითხი ...
ნემცების ჩამოსვლა. თქვენ ხედავთ, ...
ცები აქაც არიან, უკრაინაშიაც არიან...
ჩვენს და უკრაინის მდგომარეობის ...
დიდი განსხვავებაა. იქ მიიწვიეს გერ...
შინაური მტრების, ბოლშევიკების წინ...
ე. ი. შინაური წესიერების დასამყა...
ჩვენ შინაური ანარქიის დასაწყნარებლ...
მანელები არ მოგვიწვევია. ჩვენ საკუ...
ლებით ვებრძოდით შინაურ ანარქი...
საკუთარი ძალ-ღონით გავისტუმრეთ ...
ნახევარ მილიონიანი რუსის ჯარი, ...
თფილისს დარბევით ემუქრებოდა. ჩ...
თი პოლიტიკა და გერმანელების მო...
კვირდება მხოლოდ ჩამოსულ ხალხს, ...
არ იცნობს ქართველი ერის ისტორ...
წარსულს. ჩვენ საუკუნოებით გვ...
ბრძოლა ოსმალეთთან და სპარსე...
როცა ჩვენ ვერ გავუმკლავდით მ...
მოვიწვიეთ რუსეთი და ჩვენ ასი ...
მავლობაში კისერზე გვედგა რუსეთ...
მპყრობელობის უღელი, მაგრამ ჩვე...
დით, რადგანაც ვიცოდით, რომ, რო...
ბი წავლენ, თათრები მოვლენ. ახლ...
მდგომარეობაა. საქართველო პატარ...
მას არსებობა არ შეუძლია, თუ ძლი...
ველი არ ეყოლა. აი ამიტომ მ...
გერმანიას. ამ რიგათ გერმანელე...
აქ აიხსნება იმით, რომ ოსმალ...
დიოდენ, ოსმალოების მოსვლა კ...
ხელშეკრულების ბრალია, უკანას...
ბოლშევიკების მოღვაწეობის ნაყოფ...
რომ გერმანელები არ მოგვეწვია, ...
მოვიდოდენ. ამ ორში ჩვენ გერმანე...
ჩიეთ. შეიძლება გერმანიაც ისე ...
როგორც რუსეთი. რუსეთმა პირველ...
სუფლების დაცვა აღგვითქვა, მაგრ...
თან დაარღვია ტრაქტატი, მაგრამ ...
ბობთ, რომ, როცა ისინი აქ მართ...
ბას არ დაინახავენ, თვითონ ჩაერ...
შინაურ საქმეებში. როცა რუს ...
1802 წ. აქ არ დაინახეს სახელმწ...
აპარატი, თვითონ მოჰკიდეს ა...
წყობას ხელი. ახლაც შეიძლება ა...
რამ მოხდეს, თუ სახელმწიფო ძა...
არ გავამაგრეთ. ვიმეორებ, თუ ...
კეთეთ, სხვები შესძლებენ ამას. ს...
ნებას არ ითმენს, ჩვენ ეხლავე ...
დოთ ხელი სახელმწიფოებრივი აპ...
ქმნას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ცით მუშებს არ ეკუთვნით. მუშებს ხელი უწყო სამინისტრომ შეღავათიან ფასებში ოგზავრნათ როგორც რკინის გზით, ისე ვით.

...ემაგოგიური აგიტაცია, რუსი მუშების წა-...ის გარეშემო გაჩაღებული, მხოლოდ ერთს ...კიცებს, რომ მოიპოვებიან ისეთი პირები, ...მლებიც დაინტერესებული არიან სახელი ...ტეხონ დემოკრატიულ მთავრობას და ერთა ...რის შუღლი დახთესონ. X.

## პროვინცია

...ᲒᲝᲠᲘ. 5 ივნისს შესდგა გორის მუშათა ...უტატების საბჭოს კრება; დაესწრნენ მთე-...შემადგენლობა თავდაცვის შტაბისა და ...მომადგენლები სხვა რევოლიუციონური ...განიზაციებისა.

...იმდინარე მომენტზე მოხსენება გააკეთა ვ. ქარცივაძემ, რომელმაც აუწყა დამსწრე ...ოგადოებას ოსმალეთთან ზავის შეკვრა და პირობები, რომელზედაც საქართველოს ...პუბლიკას მთავრობამ ხელი მოაწერა. ის ...კლაათ შექმნილ მდგომარეობას, გაუ-...ლისწინა დამსწრეებს, თუ რა პირობებში ...ება რესპუბლიკის მთავრობას მუშაობა და ...აიძულა ასეთ ზავზე რომ ხელი მოეწერა. მოუწოდა ამხანაგებს, რომ გაორკეცებული ...გიით შეუდგენ მუშაობას, რომ თუ რო-...ე იყო მუშაობა საჭირო მით უმეტეს გვმართებსო, თუ გვსურს შევინარჩუნოთ ...ვებული თავისუფლება და დამოუკიდებლო-... მომენტის შესახებ ილაპარაკეს სხვა ამ-...ებმაც და ყველა იზიარებდა მომხსენებე-...აზრს. მოუწოდებდა დამსწრეებს, რომ ...ა გაორკეცებულ ენერგიით შესდგომოდა ...ტურულ სააღმაშენებლო მუშაობას და ...ურ ძალის შექმნისათვის ზრუნვას, რო-...ც სოფლათ, ისე ქალაქებში. კამათის შემ-...გამოტანილ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: ...ებამ მოისმინა რა ცნობა რესპუბლიკის ...რობისა ოსმალეთთან ბათუმში ზავის შე-...ს შესახებ, სცნო, რომ შეკრული ზავი ...ათ ერთი გამოსავალი გზა იყო საერთო ...მარეობიდან. კრება სცნობს, რომ რად-...მ იძულებითი ზავით ჩვენ საშიშროება ...ოდ დროებით აგვცდა, ამიტომ საჭიროა ...ვა რესპუბლიკის რეალურ ძალთა შექმნა-...ა კულტურულ მუშაობის განსაკუთრებუ-...ნერგიით წარმოებაზე სოფელსა და ქა-...ში.

...ასრულ კრებამ მოისმინა თავდაცვის ...ს თავმჯდომარის მოხსენება, თუ რა ...მიზნათ დასახული და როგორ ფიქრო-...ას ცხოვრებაში გატარებას. მან აუწყა ...რეთ, ისინი უკვე შეუდგენ იარაღის შე-...ებას როგორც ქალაქში, ისე სოფლათ ...ნაცხადა, რომ სასტიკ ზომებს მიიღებენ ... იმ პირთა წინააღმდეგ, ვინც მათ ხელს ...ის წეს რიგის აღდგენაში.

...ბამ მოიწონა მათ მიერ გადადგმული ...ბი და დასახული მიზნები, თავის მხრივ ...ქვა დახმარება, რითაც კი შესძლებენ.

თედო.

---

...ᲥᲕᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ (ჭიათურის რა-...არა ვგონებ, ზემო იმერეთში სადმე ...იმედ-მიხდილი ხალხი მოიძებნებოდეს, ...რიც აქ. შარშან ნახევარი სარჩო არ ...ა, წელსაც ალარაფერს მოველით. ნა-...მ საქონელზე სიძვირის თანდათანობი-...და ხომ საყოველთაო მოვლენაა; ომის ...ება და ჭაბუკთა მობილიზაცია, შინ ...ა, გადასახადების მოთხოვნა და ვინ ...ის რამდენი რა! ზედმეტად სულის ...ოთებელი ხომ ის შექნა, რომ რკინის ...ვაჯები საზღაპროთ გადიდდა. აქ არ ...ჯახი, რომ თითქმის ზამთრიდანვე სი-...სამეგრელოდან (აბაშის რაიონი და სხ.) ...დებოდეს—ისიც თითო, ორ ორი ფუ-...ლა ათასგვარი გაწამებით. გაძვალტყა-...მშრომელ ხალხს ის-ღა დარჩენია, რომ ...ფუთობით სიმინდის საზიდავათ აქედან ...ენაკამდის, 200 ვერსის მანძილზე, ქვე-...არომ! მერე რა დროს? იმ დროს, რო-...მშიერი კუჭით ნათესი სიმინდი უკვე ...ლათ კარს მოადგა.

...ხაროდ, გამეფდა ის სასოწარკვეთი-... რომ ვიწრო მსოფლხედვის მასსა შექ-...უტანელ პირობათა ფაქტორობას და ...დან ჩამოშორებას რევოლიუციის ავან-... ბელადების სისუსტეს აწერს. ერთი ...ი, ხალხის გამოურკვეველი სულის გან-...ება მწარე ტრაგიზმით მოცულია, მაგ-...იც უფრო ტრაღიკულია ამ ხალხში ...ლე რეალურ შემეცნების მქონე ელე-...განცდა. შინი მეცნიერული კვლევა-...ოფლის ურწმუნო თომებს აღარ აკმა-...ბს. საჭიროა აღიძრას შუამდგომლობა, ...ინდის მიწოდება მაინც შეუმსუბუქდეს ... ხალხს რკინის გზით ტარიფის დაკ-...აქ მოტანილი სიმინდი ჯერ ფუთი ...ზე მეტი ჯდება და რა იქნება შემ-...ლამ უწყის. სიცივეების გამო ვაზი ... დაზიანდა და ყ ნებაც ძლიერ ცუდი ...ნს. წრევანდელ მოსავალზედაც თით-...კარგა ხალხმა იმედი.

ს. ბარათაშვილი.

---

# ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ
## ᲛᲝᲙᲚᲔ ᲤᲘᲪᲠᲔᲑᲘ ᲧᲣᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

იკითხეთ „ერთობის“ რედაქციაში.

---

9 ივნისიდან, ჟურ. „პირველი ნაბიჯის“ რედაქცია და კანტორა

## ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲐ ᲐᲮᲐᲚ ᲑᲘᲜᲐᲖᲔ

Ермоловская ул. № 9. ტელეფონი 9—61.

ფული, ჟურნალში დასაბეჭდი მასალები და ყოველგვარი წერილები გამოიგზავნება ამ მისამართით.

რედაქცია ღია იქნება ყოველ-დღე, გარდა კვირა უქმე დღეებისა დილის 11—1 საათამდე.

---

## ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ

სცენის მოყვარეთა მიერ

ოთხშაბათს, 12 ივნის, წარმოდ. იქნება

## ᲜᲐᲛᲣᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

დრ. 4 მოქ. შირვანზადესი, თარ. კ-ნის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი არჯევანიძე, ს. რომანიშვილი-დგებუაძისა, ვ. მარგველაშვილი, ნ. ნინონი, ბ.ბ. ნ. გოცირიძე, ალ. მეტრეველი, ა. თავდგირიძე, ი. მინდიაშვილი, ნ. ჭანკვეტაძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი 1 მ. 40-დან 35 კ.-მდე.

რეჟ. კ. შათირიშვილი.

---

ᲔᲥᲘᲛᲘ Დ. Ი. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 17—49.

---

ᲔᲥᲘᲛᲘ Ი. Ზ. ᲙᲝᲜᲘᲔᲕᲘ.

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარდისუბნის ქ. № 3.

---

სამკურნალო კაბინეთი

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲓᲐᲕ. ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲐᲫᲔ

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 6—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნიუ“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—26

---

ᲔᲥᲘᲛᲘ Ქ-ᲚᲘ Რ. Ზ. ᲨᲘᲨᲚᲝ-ᲡᲐᲑᲨᲕᲘᲚᲘᲐ

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82. ტელ. № 9—26.

---

ᲔᲥᲘᲛᲘ Ა. Დ. ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავათმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათამდე, საღ. 5—7 ს. ჩერქეზოვის ქ. № 14.

---

ᲔᲥᲘᲛᲘ Ზ. ᲓᲝᲜᲮᲘᲜᲘ

პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტის ყოფილი დიდი ხნის ასსისენტი იღებს თვალის-ტკივილებით ავათმყოფებს დილის 9—12 ნახ. საათამდე, საღ. 4—7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი 76 (ხაიკინის კბილის საექიმო). ტელეფონი 7—38.

---

ᲔᲥᲘᲛᲘ Ნ. Ა. ᲤᲝᲤᲮᲐᲫᲔ

მიიღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ საღამოს 5—7 საათამდე. გრაფის ქუჩა № 8. მონასელიძის ბინა.

---

ᲔᲥᲘᲛᲘ Ნ. Ი. ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲐᲫᲔ

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, **სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა,** ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია და მას საჟი. მისამართი: მოსკოვის ქუჩა № 11.

---

Დ. ᲮᲐᲩᲮᲔᲠᲔᲨᲘ ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ Ვ. Ზ. ᲚᲐᲨᲮᲘ

იღებს ავადმყოფებს, უკეთებს კანქვეშ ნემსებს ციებ-ცხელებიანს, სისხლ-ნაკლებიანს და სიფილისიანს უკეთებს მასაჟს, უცრის ყვავილს, უხვევს ჭრილობებს და ათაშანგს. მისამართი: რკინის გზის სადგურთან აბრამიშვილის სახლებში.

ᲘᲥᲕᲔ ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲗᲐᲜ. ᲥᲐᲚᲘ Მ. Პ. ᲒᲐᲒᲐᲠᲘᲜᲐ-ᲚᲐᲨᲮᲘ

ლებულობს ავადმყოფ ქალებს და აძლევს დარიგებას.

---

ᲔᲥᲘᲛᲘ Გ. Მ. ᲛᲣᲮᲐᲫᲔ

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; ადვილერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—77

---

## ᲗᲤ. ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲕᲔᲢᲔᲠᲘᲜᲐᲠᲝ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲡ

**სჭირია არენდით დაქირავება ლაბორატორიისთვის ცალკე შენობისა,** ელექტრონის განათებით, წყალსადენით და კანალიზაციით ქალაქის განაპირას. პირობების შეტყობა შეიძლება თფილ. გუბერნიის ვეტერინალურ ინსპექტორთან (გუბერნიის სამმართველო).

---

## ᲚᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲘ

ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება აცხადებს თფილისის მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ მიმდინარე წლის 10 ივნისიდან ქალაქის ყველა სასურსათო დუქნებში ლორი და ყველი გაიყიდება შემდეგ ფასებში:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის ლორი, | გირვანქა | 3 მან. 25 კაპ. |
| მეორე „ „ | „ | 3 მან. |
| შვეიცარიის ყველი | „ | 4 მან. 20 კაპ. |

რაიონულ კომიტეტებს ყველი დაეთმობათ 4 მან. 10 კაპ., მხოლოდ ამისათვის საჭიროა წარადგინონ სასურსათო განყოფილებისაგან მიცემული მოწმობა.

**თფილისის გამგეობის სასურსათო განყოფილება.**

---

1918 წლ. 1 ლ ივნისიდან ქ. თფილისში გაიხსნა კერძო

## ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ
## Ი. Ფ. ᲙᲐᲚᲛᲝᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ.

სწავლება—რუსულ ენაზე. სკოლა შესდგება: ერთი საანბანო, ორი მოსამზადებელი და რვა ძირეული კლასისაგან,—მოწაფეებს ამზადებს რუსულ უმაღლეს სასწავლებელში მისაღებათ. მე-7 და მე-8 კლასს აქვს ორი განყოფილება: ჰუმანიტარული (რუსული სავაჟო გიმნაზიის კურსით) და რეალური (რეალურ სასწავლებლის კურსით).

საკლასო მეცადინეობა დილაობით, პრაქტიკული მუშაობა საღამოთი. მიიღებიან სამოსწავლო ჰასაკის პირები განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

**უეგზამენოთ მიიღებიან:** მე 5 კლასში—რომელთაც დაუსრულებიათ პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი და ...ლ კლასში, რომელთაც დაუსრულებიათ დაბალი პირველ-დაწყებით სასწავლებელი. დანარჩენ კლასებში მიიღებიან **გამოცდით ან და შესაფერი მოწმობის წარდგენის შემდეგ.**

ეგზამენები დაიწყება 15 ივნისიდან.

თხოვნების მიღება (ყველა კლასებისათვის) და პირობების გაგება შეიძლება ყოველ-დღე (კვირა-უქმე დღეებშიაც) დილის 10 საათ.—1 საათამდე და საღ. 6—8 საათზე.

**გოლოვინის ქ. № 8 (მეორე სართული). ტელეფონი 18—85 და 19—61.** (4—1)

---

## ᲨᲔᲨᲐ

სასურსათო განყოფილება აცხადებს, რომ შეშა ქალაქში თანდათან ილევა; შეშის შემოტანის საქმის მოსაწესრიგებლათ აუცილებლად საჭიროა მოქალაქეთა, სახლისა და რაიონულ კომიტეტებში შეკავშირება. თანახმად რკინის-გზით საქონლის გამზიდველ ბიუროს ცნობით, კომიტეტებს უფლება აქვთ ფოთისა და თფილისის რაიონში რკინის-გზით შეშის რიგს გარეშე გადაზიდვისა. ზემოხსენებულ ორგანიზაციებმა, რომლებსაც სურვილი აქვთ ამ უფლებით ისარგებლონ, უნდა მიმართონ ნებართვის მისაღებათ ქალაქის საბჭოს სასურსათო განყოფილება (რტიშჩევისა და ბებუთოვის ქ. კუთხე).

3—2 **ქალაქის საბჭოს სასურსათო განყოფილება.**

---

**სამეურნეო ნაწარმოებთა შემსაღებელი და მეურნეობისათვის საჭირო მასალის**

## ᲨᲔᲛᲫᲔᲜᲘ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲕᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ

აუწყებს ყველა კოოპერატიულ, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებათ, აგრეთვე სოფლის მეურნეთ და კერძო პირებს, რომ კავშირი მიიღებს საკომისიო წესით გასასაღებლათ სამეურნეო ნაწარმოებთ (ხორბალი, ფურაჟი, ხილი, შეშა, თამბაქო, ღვინო, მატყლი და სხვა) **მცხოვრებთათვის საჭირო და სამრეწველო ფაბრიკატებს როგორც ბითუმათ (პარტიობით)** ა ვგე წვრილ-წვრილათ.

კავშირის კანტორა იმყოფება მოსკოვის ქუჩა № 4. ტელეფონი 6—22. 3—2

...ე სტამბა როხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.